საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/29

25 ივლისი 2011 წ **ქ. ბათუმი**

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის სპეციალიზებული საბჭოს არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს სამეცნირო ცენტრის დებულების მე-8 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. რსუ-ს სამეცნიერო ცენტრის სპეციალიზებული საბჭოს არჩევნები დაინიშნოს 2011 წლის 02 აგვისტოს, 13 სთ-ზე

2. სამეცნირო ცენტრის თითოეული მიმართულებიდან აირჩევა 7 წევრი, ამავე მიმათულების მეცნიერ-თანამშრომლების მიერ.

3. სამეცნიერო ცენტრის სპეციალიზებული საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს რსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35. ოთახი №12.) 2011 წლის 26 ივლისიდან 2011 წლის 01 აგვისტოს ჩათვლით 10:00 საათიდან – 15:00 საათამდე, გარდა შაბათ კვირისა.

4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის დამადასტურებელი ქსეროასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (S.V);

გ) რსუ-ს ადმიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა სამეცნიერო თანამდებობის მითითებით.

5. რსუ-ს საარჩევნო კომისიას დაევალოს რსუს სპეციალიზებული საბჭოს არჩევნების ორგანიზება ამ ბრძანებისა და სამეცნიერო დებულების მოთხოვნათა გათვალისწინრბით.

6. ბრძანება განთავსდეს რსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**